



## საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 247 „13“ ნოემბერი 2013

ქ. თბილისი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე მუხლის, „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების მე-5 მუხლისა და „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბრის N206 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:


1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი ირაკლი ქოიავა.
2. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თეა ლეკვეიშვილი.
3. მიენიჭოს ირაკლი ქოიავას უფლებამოსილება ხელი მოაწეროს სამინისტროს ბლანკზე საჯარო ინფორმაციის გაცემის შემთხვევაში.

4. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე, მათ შორის, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელი პირის არყოფნის შემთხვევაში ამ ბრძანების პირველი და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეს თეა ლეკვეიშვილს.

5. ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის არყოფნის შემთხვევაში ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილება მიენიჭოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორს ირაკლი ქოიავას.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის 2010 წლის 1 მარტის N64 ბრძანება.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

  
მაია ფანჯიკიძე